


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ბედობით ბეჭდვით სიფყვას, ცუდილებით და ჭაბუბით ბუბთის გაფანა ყველა უკადრისდებე უსაბაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამუშაოთი, **12** მაისი, 2015 წელი.

№86 (7731)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.

გლოვოუს მთელი საქართველო!

მაკანთა უკანსუნისგებობას უენიკული სამი სისოცხლე

ქობულეთში, სასტუმრო „არმაზში“ ხანძარი 10 მაისს გამთენიისას გაჩნდა. ხანძრის დროს სამი ბავშვი დაიღუპა. პოლიციამ და მასველებმა 45 ადამიანის გადაარჩენა შეძლეს. რევზა დემეტრაშვილი, დავით ზაქარაძე და თორნიკე ხვიჩია ფოლკლორულ ანსამბლ „სისხარული 2“-ის წევრები იყვნენ. ისინი ქობულეთში ფესტივალში მონაწილეობისთვის იყვნენ ჩასული.

სასტუმრო „არმაზის“ მესამე სართული სრულიად დამწვარია, მეორე – ნაწილობ-

ბია, მაგრამ ართმელაძე ამბობს, რომ ხანძრის დროს იმ ნომრის გახსნა სცადეს, სადაც ბავშვები დაიღუპნენ, თუმცა, კარი დაკეტილი იყო.

...ხანძრის დროს დაღუპული ბავშვების ცხედრები რუსთავში, ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარში დასვენეს, სადაც დაახლოებით 3-4 დღის განმავლობაში იქნებიან დასვენებული. ბავშვების მშობლები და ახლობლები წინააღმდეგი იყვნენ, რომ დანის პასუხის მიღებამდე დაღუპულების

ქვემო ქართლის გუბერნატორმა პაატა სიზანაშვილმა განაცხადა, რომ დანის ანალიზის პასუხამდე ბავშვები ტაძარში იქნებიან დასვენებული. რაც შეეხება ხანძრის გამოწვევს მიზეზებს, გამოძიება აქტიურ ფაზაშია შესული და გამოძიების დასრულების შემდეგ ინფორმაცია გასაჯაროვდება და ყველასთვის ცნობილი გახდება.

ცენტრალური ხელისუფლება გარდაცვლილების ოჯახებს 10 ათასი ლარით დაეხმარება. ასევე, ოჯახებს დახმარებას გაუწევს რუსთავის მერიაც. მერია გაიღებს დაკრძალვის ხარჯებს და ოჯახებს ფულად დახმარებასაც გაუწევს.

თაა მოსია.



რივ, ხოლო პირველი სართული ხანძრის შედეგად დაზიანებულია. საოჯახო ტიპის სასტუმროს მესამე სართული აშენებული იყო რკინის კონსტრუქციით, აბაზანისა და საპირფარეოების კედლები ამოყვანილია ქვით, ხოლო ნომრები ხისგან და პლასტიკატისგან იყო გაკეთებული.

ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი გოგი მარლანია ვარაუდობს, რომ ხანძარი კონდიციონერის სადენებიდან გაჩნდა.

ცხედრები პროზექტურაში დაეტოვებინათ, ამიტომ ბავშვების ცხედრები ტაძარში გადაასვენეს.

რუსთავში, ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უწესტარესი ილია მეორე იმყოფებოდა. პატრიარქი გარდაცვლილი ბავშვების მშობლებს შეხვდა. ტაძარში ცოტა ხნით მიბრძანდა და ბავშვების ოჯახის წევრები დალოცა.

ტაძარში იმყოფებოდა ასევე განათლების და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე მოადგილეებთან ერთად. მათ ოჯახებს მიუსამძიმრეს.

როგორც მან განმარტა, ყველას ეძინა, რადროსაც ერთ-ერთი დაღუპულის დამ ატეხა განგაში, რომ სასტუმრო იწვოდა. სასტუმროში ხანძარი, სავარაუდოდ, იმ კონდიციონერის სადენებიდან გაჩნდა, რომელიც დაღუპული ბავშვების ოთახში იყო დამონტაჟებული.

ქობულეთში დამწვარი სასტუმრო „არმაზის“ მფლობელმა შერმადინ ართმელაძემ კი შურნალისტებს განუცხადა, რომ ანსამბლის ხელმძღვანელები და პედაგოგები ქეიფობდნენ, ბავშვები კი უყურადღებოდ ჰყავდათ დატოვებული.

რამ გამოიწვია ხანძარი მისთვის უცნობ-



გაზათ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუბრძოლვს ქობულეთში დაბრუნებული ტრაგედიის გამო დაღუპული უმანკო ბავშვების რევზა დემეტრაშვილის, დავით ზაქარაძის და თორნიკე ხვიჩიას ოჯახებს და სრულიად საქართველოს.

გარადიული სასუფაველი დაგიმეკვიდროთ უფაღმა, შვილებო!

უკანსკელი ბრძოლები 4 საუდრისთან!..



2 ი. სტალინის უკითხვა ბასტალინებულ ღუბას

6 ვასილ მუჰანაკი-სახელმწიფო მოღვაწე, პრის უილი

„საქართველოს გაუჩინარებული გოგონები“ 4

12 ბილ გეიტსის 7 წინასწარ-მეტყველება, როგორც ახლა

გიორგი მარგველაშვილი იოჰანეს ჰანს შეხვდა



სამხრეთის პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ბრიუსელში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში პირველი შეხვედრა ევროკომისიის წევრ იოჰანეს ჰანსთან იოჰანეს ჰანსთან გამართა.

მხარეებმა ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების განხილვის, საუბარი შეეხებოდა ასოციაციის შეთანხმების იმპლემენტაციის მნიშვნელობას და რიგის სამიტზე საქართველოს მოლოდინს.

გიორგი მარგველაშვილი და იოჰანეს ჰანსმა ერთმანეთს გაუზიარეს შეხვედრები რეგიონისა და საქართველოში უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ გარემოზე, ასევე იმ მნიშვნელოვან რეგულაციებზე, რომელსაც ევროკავშირი არსებულ გამომწვევებთან ბრძოლის კუთხით ასრულებს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ გიორგი მარგველაშვილი და იოჰანეს ჰანსმა მედიასთან პრესკონფერენცია გამართეს.

პრეზიდენტის ვიზიტის ძირითადი დატვირთვა ევროკავშირის მიმართულა

სამხრეთის ურთიერთობების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველს თენგიზ ფხალაძის განცხადებით, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილის ბრიუსელში ვიზიტის ძირითადი დატვირთვა არის ევროკავშირის მიმართულება. როგორც ფხალაძემ განაცხადა, დღევანდელ დღეს საქართველოს საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა არის მომავალი რიგის სამიტი და ის შედეგები, რაც შეიძლება მიღწეული იქნას ამ სამიტზე.

თან. რა თქმა უნდა, ძირითადი აქცენტი კეთდება იმასთან დაკავშირებით, თუ რა გზა გაიარა საქართველომ, როგორ ემზადება რიგის სამიტისთვის და რა პერსპექტივა შეიძლება იყოს დაფიქსირებული. მითუმეტეს იმ ანგარიშის ფონზე, რომელიც ევროკომისიამ გამოაკეთა. ეს ანგარიში საკმაოდ დამაიმედებელ გზავნილებს იძლევა. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ დღევანდელ დღეს კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია და ჩვენი მოლოდინები, — განაცხადა ფხალაძემ.

აკადემიკოსი ივანე სოფლის მეურნეობის მინისტრის გინორცია

შეხვედრამ საოფლის მეურნეობის სექტორში ერთობლივი საინვესტიციო პროექტების განხორციელების პერსპექტივები და „აბრეშუმის გზის ფორუმის“ მნიშვნელობა განიხილა. მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობების საკითხებზე იხსენიეს და თანამშრომლობის გაღრმავების იმედი გამოთქვეს.

რომიკური ურთიერთობების გაღრმავებას ხაზი გაესვა ბოლო პერიოდში ქვეყნებს შორის ორმხრივი პარტნიორობის მნიშვნელოვნად ზრდის დინამიკას. ჩინური მხარე კიდევ ერთხელ დაადასტურა მზაობა, მიიღოს მონაწილეობა 2015 წლის ოქტომბერში დაგეგმილ „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმში“.

ირაკლი ლარია გურიის ახალ გუბერნატორს უმხვდა

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარია გურიის ახალ გუბერნატორს გია სალუქვაძეს შეხვდა. მთავრობის მეთაურმა მას მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა და რეგიონში მიმდინარე პროექტებზე ესაუბრა. გია სალუქვაძემ პრემიერ-მინისტრს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა.

ერთ მხარეს წარმოვადგენდით ჩვენ: ნინო მიქიაშვილი, მამუკა ნოზაძე, ირაკლი ლომიძე და გიორგი მჭერიშვილი. მოწინააღმდეგე მხარეს სასამართლოში წარმოადგენდნენ: თეიმურაზ მემველიანი (კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო); თეა ონიანი, სოფიო ჩიხრაძე (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო); თეიმურაზ ოჩიაიძე, მიხეილ სამხარაძე (კომპანია „არემჯი გოლდი“).

პროვნილი ბანკი ლარის გამყარების მექანიზმებს არ იყენებს

ბანკს, გარდა სავალუტო ინტერვენციებისა, კიდევ მინიმუმ 5 ბერკეტი გააჩნია, რითაც მონეტიარულ პოლიტიკასა და ლარის კურსზე ზემოქმედებს. მისი თქმით, ეროვნული ბანკის მიმართ კრიტიკა ლარის დევალაციის საწყის ეტაპზე გაჩნდა. ექსპერტები და ანალიტიკოსები სებას ძირითადად დოლარის დაგვიანებით და არასაკმარისი მოცულობით გაყიდვას უნუნებდნენ. ეროვნული ბანკიც მხოლოდ ამ კრიტიკას პასუხობდა და საკუ-

თარი არგუმენტების გასამყარებლად საერთაშორისო ორგანიზაციებსაც „იმონებდა“. „ეროვნული ბანკის ყველა ნაბიჯი, პირდაპირ თუ ირიბად, აისახება ლარის კურსზე. ამდენად, ახალგაზრდა ფინანსისტებმა განვიხილეთ ეროვნული ბანკის სხვა ნაბიჯებიც, გარდა სავალუტო ინტერვენციებისა და გადაკეთებულ შეფასებას, იყო თუ არა შესაძლებელი ლარის „დაჭერა“ სებას მხრიდან, სხვა ნაბიჯების გადადგმით“, — განაცხადა კაპანაძემ. „აფბას“ ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით, ორგანიზაციამ ეროვნული ბანკის შესაძლებლობები და ლარის დევალაციის კვალდაკვალ მისი რეალური ქვეყნიერება განიხილა. კაპანაძემ ყურადღება გაამახვილა იმ მნიშვნელოვან ბერკეტზე, რის საფუძველზეც ეროვნულ ბანკს ლარის კურსის სტაბილურობა უნდა ემოქმედა.

ი. სტალინის უპირობო ბასტალინეულ ღუტას

თუკი ის შეიძლება, ამხანაგო თელაველი ღუტა, რომ უღვაშები მიიწვებოდა და ეგრევე გრიგოლის და ხოფერიას მოსაწონად გასტალინედა, ანუ გორელი სოსო ჯუღაშვილი გახდეს, მგონი, არც ის უნდა იყოს ძნელი წარმოსადგენი, რომ 10 მაისის „იმედის კვირისთვის“ (ალბათ, უფრო უპრიანია „იმედობის კვირისთვის“) მეც მეცქირა და ბევრიც მეცინა თქვენი აშკარად არცთუ დიდი ნიჭიერებით აღბეჭდილი ვირტუალური სპექტაკლის გამო.

ლიო ომში დიადი გამარჯვების 70 წლისთავი. ისე, ჩემი კეთილი სურვილია, რომ კიდევ უფრო მეტად გააიმედოთ და გააშინაარსიანოთ თქვენი ეგრეთ წოდებული „იმედის კვირა“, რომელსაც ნამდვი-



ნუთუ შენი და შენი უკვე მოსახლეობისთვის თავშემანყენელი თანამოუხელობის უღელგო აზრით, მარტო იმპორტო მცემენ გორელები პატივს, რაკი გორელი ვარ, რომელმაც ჩემი ქართული გვარი რუსულ სტალინად შევიცვალა!

ლად არ შესწევს იმის ძალა, რომ ხალხს ძალად ან შეაყვაროს და, მით უმეტეს, ან შეაწულოს მამით ჯუღაშვილი, დედით გელაძე და ისტორიით სტალინი.

ბურაბ ნიკლაური P.S. როგორც ქართველმა სტალინელებმა შემატყობინეს, თელავის რაიონის სოფელ აკურაში გადაუწყვეტიათ მცირედიდ აულოთ ჩემი ბიუსტი, რომელიც ხალხმა ერთხელ უკვე დააბრუნა თავის ადგილზე. პირდაპირ მიკვირს და გამკვირვებულ საქართველოში, რომელიც მე კარგა გვარისად შეძლებული დავტოვე, ისე გამოვლიათ ყოველგვარი საქვეყნო საქმე, რომ ჩემს ძეგლებსა და ბიუსტებზე ნადირობისთვის მოიცადეს?! როგორც ჩანს, ისტორიის ქარი ჯერ არ ამოვარდნილა საქართველოში უხვად დაგროვილი ისტორიის ნაგვის გასაფანტავად.

რეპორტაჟი სასამართლო დარბაზიდან უკანასკნელი ბრძოლები საყდრისთვის!

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო ბუაჩიძე 14 მაისს 17 საათზე გააგრძელებს საყდრისთან დაკავშირებული საკითხის განხილვას. წინა პროცესი 7 მაისს, 14 საათზე №36 დარბაზში დაიწყო და საათნახევარი გრძელდებოდა. მოსამართლე ნინო ბუაჩიძე იხილა ადვოკატისა და საყდრის უფელის ოქროს მალაროსთან დაკავშირებით სარჩელის უზრუნველყოფის დონისციების გამოყენების საკითხს.

კინალამ გააძევა (თან, ცდილობდა მოსამართლისთვის გადაეცა თავისი სტატიის — აგერ ბატონო, წაიკითხეთ, საყდრის ბლეფია, იქ საინტერესო არაფერია).



ერთ მხარეს წარმოვადგენდით ჩვენ: ნინო მიქიაშვილი, მამუკა ნოზაძე, ირაკლი ლომიძე და გიორგი მჭერიშვილი. მოწინააღმდეგე მხარეს სასამართლოში წარმოადგენდნენ: თეიმურაზ მემველიანი (კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო); თეა ონიანი, სოფიო ჩიხრაძე (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო); თეიმურაზ ოჩიაიძე, მიხეილ სამხარაძე (კომპანია „არემჯი გოლდი“).

იმ დღეს სასამართლოს შენობაში უამრავი ჟურნალისტი იყო, მაგრამ ჩვენს პროცესზე არავინ შემოსულა, არც არავის დაურეკია და ამბავი არ უკითხავს. მხოლოდ სალომე სარიშვილი შეგეს მიაჩნდა „რეზონანსიდან“, აინტერესებდა, რა მოხდა სხდომაზე. არც არქეოლოგები მოსულან. ალბათ, არ ეცალათ — მგონი, ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის ბუბა კუდავას მხარდაჭერი აქცია იყო დანიშნული; ალბათ, იქ იყვნენ და ამიტომ ვერ მოვიდნენ. იქ არც ჩემს და არც სხვა მოსარჩელების ყოფნას აზრი არ ექნებოდა, ჩვენს შორის მამუკა ნოზაძე, რომ არ ყოფილიყო. კიდევ ერთხელ გაგვხდა იმის მომსწრე, რა დროს უნდა, მაღალი პროფესიული სტანდარტებით, ყოველგვარი ანგარებისა და ქვენა გრძნობების გარეშე როგორ იცავდა იგი ჩვენი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას. მან 7 მაისს გამართულ სხდომაზე სათქმელი, არც მოსამართლე ნინო ბუაჩიძის დააკლო და არც მონააღმდეგე მხარეს. სხდომის ვიდეო და აუდიოჩანსწერი, როგორც კი მექნება, იუთუბზე ავტვირთავ. თუ ნახავთ და მოუსმენთ, დარწმუნებული ვარ, ამ შეფასებაში დამეთანხმებით.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების 70 წლისთავი, რომელიც მასში ანტიბოლშევიზური კოალიციის გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედის საბჭოთა კავშირის ხალხებისთვის, მათ შორის, ცხადია, ქართველებისთვის, დიდ სამამულო ომად იწოდება, მეტად ღირსშესანიშნავი გამოფენით აღნიშნა საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ. მის დიდებულ საგამოფენო დარბაზში 8-9 მაისს სახელმწიფო ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, 1953-1972 წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, გენერალ-ლეიტენანტ ვასილ მუხომბაძის ძე მუხომბაძის სამხედრო, საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოებისა და ოფიციალური დოკუმენტების, აგრეთვე პირადი ნივთების გამოფენა გაიმართა.

ამ უაღრესად საგულისხმო გამოფენის საზღვიო გახსნისას, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო, მათ შორის, ცნობილი საზოგადო, სამეურნეო და პარტიული მოღვაწეები, სასულიერო პირები, საზოგადოებრიობის ფართო ფენების წარმომადგენლები, ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების დეპარტამენტის დირექტორმა **ლევან თაქთაქიშვილმა** აღნიშნა:

– ამჟამად ბიბლიოთეკაში მეტად მნიშვნელოვანი პროექტი „ციფრული ფოტომატიანე“ ხორციელდება, რომლის ერთ-ერთი ნაწილი ვასილ მუხომბაძის ცხოვრების ამსახველი ფოტოების ერთი ნაწილის გამოფენაა. პროექტის მიზანია, რომ ყველა ქართულ ოჯახში დაცული ფოტოსურათები ციფრულ ფორმატში გადავიყვანოთ, შემდგომ ინტერნეტში განვათავსოთ და ამით ყველასთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ. თავდაპირველად ეს პროექტი მცირე ფორმატით ხორციელდებოდა, ახლა კი შესაბამის ინტერნეტ-საიტზე უკვე 60 ათასი ფოტოა განთავსებული და, ვიმედოვნებთ, წლის დამლახვებისათვის მათი ოდენობა 100 ათასს გადააჭარბებს.

სწორედ ამ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით მივმართეთ ვასილ მუხომბაძის ქალიშვილს ნინოს, რომელმაც მამის მთელი ფოტოარქივი დაგვიტოვა, რომელიც გაციფრულ და ინტერნეტში განვათავსეთ. შემდგომ თანხმობა ვთხოვეთ ვასილ მუხომბაძის მოღვაწეობის ამსახველი გამოფენის მოწყობის თაობაზე, რომლის გახსნა 8 მაისს გადავწყვიტეთ, ვინაიდან ეს ფაშიზმზე გამარჯვების დღეა, ვასილ მუხომბაძე კი დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი გამორჩეული მონაწილე იყო, რომელიც ბრძოლის ერთ-ერთ უმძიმეს უბანზე, ლენინგრადის ბლოკადის პირობებში მეუღლესთან ვიქტორიასთან ერთად იბრძოდა.

ჩვენი მეორე მიზანი იყო ქართველი საზოგადოებისთვის შეგვეხსენებინა, ახალგაზრდობისთვის კი, რომელიც საქართველოს ისტორიის საბჭოურ პერიოდს, ცოტა არ იყოს, ამრეზით უყურებს, გაგვეცნო, თუ რა ფასი გადაიხადა ხალხმა ჯერ სამამულო ომში გამარჯვებაში, შემდგომ კი ქვეყნის აღმშენებლობაში და ამით თაობებს შორის ერთგვარად ჩატეხილი ხიდი აღგვედგინა. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ქვეყნის საბჭოური პერიოდი ჩვენი ისტორიის ისეთივე თანასწორუფლებიანი ეპოქაა, როგორც ნებისმიერი სხვა და მისი გაკვეთილებიც კარგად



ვასილ მუხომბაძე – სახელმწიფო მოღვაწე, პრის უპილი

უნდა გავიაზროთ. ვასილ მუხომბაძე კი საქართველოს საბჭოური პერიოდის ერთ-ერთი კავშირის ვარსკლავია, რომელსაც ქვეყნის სათავეში ყოფნა უმძიმეს დროს მოუწია.

– ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მამის ფოტოარქივის გამოფენა 8-9 მაისს იმით გამოიხატება, რომ სამამულო ომში გამარჯვების დღე მას თავის მეორე დაბადების დღედ მიიჩნდა, – თქვა ექსკლუზიურ ინტერვიუში ნინო მუხომბაძემ. – გამოფენის მოწყობის იდეა ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაციას ეკუთვნის, მამას პირადი ნივთებით მისი შევსება კი (მათ შორის სახელმწიფო და საბრძოლო ჯილდოებით დამშვენებული გენერალ-ლეიტენანტის მუნდირით – ო. ტ.) თავად შევთავაზებ.

წარმოდგენილი ფოტომასალა მამას სამხედრო მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდს ასახავს, ასევე გამოფენილია გამოჩენილი სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეების მიერ მისთვის სხვადასხვა დროს გამოგზავნილი მისალოცი ბარათები, პირადი მიმოწერა.

მამას 100 წლისთავთან დაკავშირებით დაისტამბა ნინო „ასეთი იყო ჩვენი საქართველო“, რომელიც თავისუფლად არ გაყიდულა, იგი ოჯახის წევრებმა დავარიგეთ. ამჟამად კიდევ ბევრი მანამდე უცნობი მასალა დაგროვდა, რომლის დამუშავებაც ცნობილი პუბლიცისტი **მალხაზ კობრებიძე** მუშაობს, ამდენად, ახალი გამოცემა, ვიმედოვნებთ, წლის მინურულისთვის გამოვა. ამჟამად კი ფეისბუქის გვერდზე „ვასილ მუხომბაძე“ დიდძალი საინტერესო მასალა დეკს,

რომელიც 1953-1972 წლებში მამას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობას ეხება – რა გაკეთდა იმხანად ქვეყანაში კულტურის, მეცნიერების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სპორტის სფეროებში.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **როინ მეტრეველმა**.

– ამ ფრიად მნიშვნელოვან დღეს, როცა მთელი პროგრესული მსოფლიო ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავს აღნიშნავს, ჩემი გამოსვლა ამ შესანიშნავი გამოფენის ორგანიზატორებისადმი მაღლიერების გამოხატვით მიიღო და ვაინაყო. არდავიწყება მოყვასისა – ყველა შეგნებული კაცის ვალია, მით უმეტეს, როცა საქმე დიდ პოლიტიკურ მოღვაწეს ეხება, პიროვნებას, რომელიც დიდი ხნის მანძილზე საქართველოს ხელმძღვანელობდა. ვასილ მუხომბაძე ქვეყნის თავი კაცი იყო მთელი 19 წელი, რა დროსაც ქვეყანამ უამრავი სიკეთე და გამარჯვება ნახა. პიროვნულად იგი უაღრესად კეთილშობილი, განათლებული, კულტურული, ორი აკადემიური განათლების მქონე კაცი იყო, რომელიც ყველა საკითხს დინჯად უდგებოდა, მოვლენებს ფართო თვალთახედვით და ღრმად უკვირდებოდა. მის სახელთან უამრავი სიკეთეა დაკავშირებული, რომელთაც მე მხოლოდ ორ ფაქტს მოგახსენებთ.

ეს თავად მისი მონაყოლი გახლავთ: მას შემდეგ, რაც 1953 წელს საქართველოში დაგბრუნდი, ჩემთან ერთი პიროვნება მოვიდა და მიტხრა: ბატონო ვასილ, თუ გინდათ ქვეყანა დამშვიდდეს, საამისოდ საჭიროა რამდენიმე კაცი მოვაშოროთ და ისინი დაასახელა – მათგან ზოგი დასაჭერია, ზოგიც დასახვრეტო. ძალიან შემან უხა ამ ამბავში, ამბობდა ბატონი ვასილი, მაგრამ მე რე ჩემთან ირაკლი აბაშიძე მოვიდა, რომელ-

მაც მიტხრა, მრავალი ღირსეული პიროვნება – პაოლო იაშვილი, ტიცვიან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, სხვები, რომლებიც უსამართლოდ რეპრესირებულნი არიან და იქნებ მათ რეაბილიტაციაზე ვიფიქროთო... ჰოდა, სწორედ საქართველო იყო პირველი რესპუბლიკა, სადაც 1930-იან წლებში რეპრესირებულთა რეაბილიტაცია განხორციელდა, ვასილ მუხომბაძე კი ამ საქმის მოთავე, მისი შემოქმედი გახლდათ.

მეორე ამბავი კი ჩემმა მასწავლებელმა, აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა ერთ-ერთი წიგნის რედაქტირებისას მიამბო: 1963 წელს, როცა საბჭოთა კავშირის ნიკიტა ხრუშჩოვი მეთაურობდა, ჩვენი ეროვნული საგანძურის ერთ-ერთი მარგალიტი ხახულის ტრიბუნი ვილაც ამერიკელმა მდიდარმა იყიდა, მოსკოვიდან მას კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი ჩამოჰყვა ხატის წასაღებად. ბატონი შალვა იმხანად საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი გახლდათ და, სხვა ვერაფერი რომ ვერ მოვიფიქრე, ვასილ მუხომბაძეს დაფურეკეთ. სხვათა შორის, ბატონი ვასილი ტელეფონს პირადად პასუხობდა, ქუჩაშიც დაცვის გარეშე დადიოდა. ბატონი ვასილი ამ ამბით დიდად შენ უხდა, მერე მკითხა, ამჟამად ტრიბუნი სად არისო, მე ვუთხარი, სეიფში მაქვს ჩაკეტილი-მეთქი. ჰოდა, ჩაკეტე ეგ სეიფი საგულდაგულად და ერთი კვირით ქალაქიდან წადიო, მიტხრა, შემდეგ თავად საგანგებოდ წავიდა მოსკოვში და საქმე ისე მოაგვარა, რომ უკვე გაყიდული ხატი ერს შეუნარჩუნა... ამიტომაც ვეველს უნდა გილაპარაკებო, რომ ეს საშვილიშვილო საქმე ვასილ მუხომბაძის გაკეთებულია. ამდენად, როცა კეთილ ადამიანებს ჩამოვთვლით, როცა ისტორიაში ღირსეული პიროვნებები გილაპარაკებთ, მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი ვასილ მუხომბაძის სახელი უნდა ვახსენოთ, რომლის ქვეყნის მესაჭედ ყოფნის დროს საქართველო დამშვიდებული იყო, ადამიანებს შორის შუამავალი კი სიყვარული იყო.

ბატონ ვასილ მუხომბაძის პიროვნების, ქვეყნის წინაშე მისი ამაგსა და მასთან დაუვინყარი შეხვედრების შესახებ დამსწრე საზოგადოებას ასევე უამრავი **მეუფე სერაფიმია, ჯუმბერ პატიაშვილი, ბაკურ გულუამ, გურანდა გაბუნია, დავით სანდოძე, ლადო კახაძე** და ავთანდილ მარგიანი. თითოეულმა მათგანმა დიდი სიტბოთი და პატივისცემის გამოხატვით აღნიშნა მისი ღვაწლი ქვეყნის იმდროინდელ აღმშენებლობაში, სახალხო მეურნეობის აღორძინება-აყვავებაში, საზოგადოებრივი ცხოვრების აღმავლობაში, სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, სახალხო მეურნეობაში, კულტურაში, სპორტში ამაგი, რის საუცხოო დასტური თუნდაც თბილისის 1500 წლისა და შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილუების აღნიშვნა იყო.

– საკუთარი ისტორიის ყველა მონაკვეთის ცოდნა ქვეყნის თითოეული მოქალაქის უწინარესი ვალია, თორემ გაკვეთილი ვინც არ იცის, საქმეს სწორედ ის ურევსო, – ბატონ ლადო კახაძის ეს სიტყვები გახლდათ გამოსვლების ერთგვარი რეფრენიც და დასკვნაც. დასასრულ მამისადმი გამოხატული ყურადღებისა და პატივისცემისთვის დამსწრე საზოგადოებას მაღლობა ვასილ მუხომბაძის ქალიშვილმა ნინო მუხომბაძემ გადაუხადა, რის შემდეგმ არქივის მოკლე დოკუმენტური კონოფრაგმენტი აჩვენეს, რომელიც ვასილ მუხომბაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ მონაკვეთს, კერძოდ, ნიკიტა ხრუშჩოვის საქართველოში ბოლო ვიზიტს ასახავს.

ოთარ ტურაბალიძე



საზოგადოების განხორციელება

თორნბომის რესპონდენტები ოპოზიციის დაანონსებულ აპოკალიფს ემიჯნებიან

NDI გადამოკრატიულდა???

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი პოლიტიკური რეიტინგების პრეზენტაციას ორ დღეში გამართავს...

სოციალურ კვლევაში, რომელიც მარტის ბოლოდან 19 აპრილამდე ჩატარდა...

და მაინც... შეკითხვაზე: რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ მოქალაქეებს თავისუფლად შეუძლიათ აზრის გამოხატვა...

რაცადაც მაინც შეცვლის... ამ ყველაფრის შემდეგ, გასაკვირვებელი არის კვლევის მომდევნო პასაჟი...

მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხებში ლიდერობს სამუშაო ადგილების დეფიციტი...

ოპოზიციური პარტიების რეიტინგი ასე გამოიყურება: ნაციონალური მოძრაობა - 44 პროცენტი, თავისუფალი დემოკრატიის - 6 პროცენტი, პატრიოტთა ალიანსი - 5 პროცენტი...



ტები - 6 პროცენტი, პატრიოტთა ალიანსი - 5 პროცენტი. რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ ძალებს...

თუ NDI-ის კვლევებს დავეყრდნობით, მოსახლეობის განწყობა სრულყოფილი არ არის...

მომკლედ, ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის შედეგები ჩემი აზრით, შედარებით ახლო დგას რეალობასთან...

ტურიზმი

მზოტიკურ ქვეყნებში დასვენებასა და ველური ბუნების ნახვაზე ბევრი ადამიანი ოცნებობს...

ბპნ.გე დაინტერესდა ყველაზე გამოჩენილი ეგზოტიკური ტურებით...

როგორც ტურიზმის ექსპერტი ნიკა ერქომაიშვილი ამბობს, ყველაზე ძვირი სიახლოვანება სანადირო ტურებია...

ზოგს გვძალი მოსონს, ზოგს - უოჟოღია

გორგოძეს ვკითხეთ. მისი თქმით, ეგზოტიკური ადგილებს შორის ქართველ ტურისტებს ყველაზე მეტად მოსწონთ ტურები ტაილანდში...

სეზონზე ფასები მნიშვნელოვნად იკლებს. სამაგიეროდ, როცა საქართველოში ზამთარია...

როგელ ქვეყნებს ირჩევენ ადგილობრივი ტურისტები ეგზოტიკური მოგზაურობისთვის?

ეგვიტი რამდენიმე შეძლებული ქართველი, რომელიც სანადიროდაც ყოფილა აფრიკაში...

ტები ყოველთვის აღფრთოვანებული ჩამოვლიან ამ ქვეყნიდან...

Good Travel-ის გაყიდვების მენეჯერის თქმით, ტროპიკულ ქვეყნებში ძირითადი რაციონი...



სა, შრი-ლანკაში არის სოციალური ადგილები მეთევზეებისთვის და თუ ტურისტი საქირრო აპარატურას დაიჭირავებს...

ტურისტული კომპანია „დისქვერ ჯორჯიას“ დირექტორი ნინო კვეციანი ამბობს, რომ ეგზოტიკური დასვენების მოყვარულნი საქართველოდან ძირითადად აზიის ქვეყნებში მიდიან...

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოში ფაშიზმზე გაპარჯების 70 წლისთავი აღნიშნეს

ფაშიზმზე გაპარჯების 70 წლისთავის დღე თბილისში გაიმართა საპროტესტო აქციის ფონზე რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ...

სადღესასწაულო ღონისძიებების პარალელურად ქვეყანაში საპროტესტო აქციების გაიმართა

აქციის მონაწილეები აცხადებდნენ: იმის გამო, რომ რუსეთი ახდენს ქართული ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციას...

ვე დატოვა საქართველო და სომხეთში გადავიდა. ისინი, ვინც აქ არიან, მათი მოტოციკლები სხვა ადგილასაა, მოვიდნენ ფეხით და აქ სეირნობენ...

„დიდი დღე“

სხვადასხვა მონაცემებით, ამჟამად საქართველოში დიდი სამამულო ომის დასაწყისით 1500 მონაწილე ცხოვრობს...



რიც მცხოვრებლებსა და რუს ბაიკერებს შორის. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში რუსმა ბაიკერმა დაამტვრია ქალის ტელეფონი...

„ეს დიდი დღეა, და განსაკუთრებული გულსხმიერებით მიწა მიულოცო ყველა ვეტერანს, ვინაიდან მათი ძალისხმევით...

„მინდა, ყველას მივულოცო დღევანდელი დღე. ეს არის დღე, როდესაც კაცობრიობამ გადადგა ნაბიჯი წინ; დღე, როდესაც 70 წლის წინათ ჩვენმა გმირმა წინაპრებმა...

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმაც ასევე მიულოცა საქართველოს მოქალაქეებს გაპარჯების 70 წლისთავი...

გაპარჯების 70 წლისთავი

გულში ჩარჩენილი სინჯი

არც ერთ ქვეყანაში ისეთ თვითგვემას არა აქვს ადგილი, როგორც რუსეთში. არც ერთი ქვეყანა ისე არ ლანძღავს და აგინებს სტალინის ეპოქას...

რეპრესიებზე - მშენებლობის დროს. პანამის არხის მშენებლობაზე ათასობით ადამიანი დაიხოცა - სხვადასხვა დაავადებებით...

ფილი დეპუტატის კოსოჩოვის საჯარო განცხადებას მოვიყვან: „ქვეყანამ, რომელმაც შვა სტალინი და ბერია, სააკაშვილი რომ ეშვა, გასაკვირი არ იქნებოდა“.

ფაშიზმზე გაპარჯების 70-ე წლისთავმა რაღაც სინჯი დატოვა გულში და ეს რაღაც ისტორიის არასათანადო შეფასებაა...



ამელიტ შივაშვილი, პოლიტოლოგი.

დედაქალაქის ზურბზე



კომაროვსკი და დუდა პოლონეთის პრეზიდენტის არჩევნებში მთავარი ტურიდან იწყებენ ბრძოლას...

ამერიკელმა ინსტრუქტორებმა ურჩიეს უკრაინელ სამხედროებს ინსტრუქტორებს



სამხედრო ინსტრუქტორები, რომლებიც უკრაინის ეროვნული გვარდიის მებრძოლებს ამზადებენ, აღნიშნავენ სამხედროების მომზადების დაბალ დონეს...

გაჩნდა პირველი მსხვირალი სუპერტაიფუნ „ნო-ულისა“



დაღუპულია ორი კაცი. როგორც ჩანს, ისინი ნათესავეები არიან. როგორც დაიხსენიეს, ისინი 74-ისა და 46 წლისანები...

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: რუსეთისთვის ავტომატი „მისტრალი“

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიკრობლოგში ნათქვამია...



ქიუდო

ერთი პერსონალი და ორი ბრინჯაო



ასეთი ნადავლით დაასრულეს გამოსვლა ქართველმა ფალავნებმა ბაქოში გამართულ ქიუდოსტა...

ოთხი შესვენება ჩაატარა: ზედი-ზედ დაამარცხა მონაკოელი იან სიკარდი...

ჩოგბურთი

ქვასაბაიამ და ბოლქვაძემ იყოჩაღეს

თბილისელი ჩოგბურთელი სოფიო ქვასაბაია პოლონეთის საერთაშორისო ტურნირის...

თი) აჯობა - 6:3, 6:4, მეგრე ზუზანა ზლონოვას (სლოვაკეთი) სძლია...



მარიამ ბოლქვაძემ ისრაელში აშქელონის 10.000-იანი ტურნირის ერთეულთა თანრიგის ზედი-ზედ...



გია) - 6:0, 6:2 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ეროვნული ჩემპიონატი

XXV ეროვნული საფეხურთო ჩემპიონატის XXVII ტური. „დილა“ - „კოლხეთი“ 1:0, „ბათუმი“ - „დინამო“ 0:0.

ფეხბურთი

ინგლისს, კოლანდიასა და ირლანდიას ეპროფიანირება დაეგეგმათ

ფეხბურთის მსოფლიო ფედერაციის (FIFA) დირექტორის დევიდ უილისონის განცხადებით...

ინტერნეტიდან

კაროლინის არგენტინული ეხი

ჩვენს რუბრიკაში იმდენ ლამაზმან არგენტინელ ასულზე გვინერია, მათ ჩამოთვლას დიდი ძალ-ღონე და ენერჯია...



რაზი

„ლელოს“ პეტი თრიაკი

საქართველოს მორაგბეთა XXV ეროვნული ჩემპიონატის ფინალი. „მინიელ მესხი“.

ადგილზე დაასრულა, მაგრამ პირველი გუნდი გახდა, რომელმაც საქართველოს ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მესამედ დაიმსახურა.

„ლელო-სარასენსი“ (თბილისი) - „ლოკომოტივი“ (თბილისი) 30:21 (20:0).

ში გარდატეხის შეტანა და 12 წუთის განმავლობაში 17:0 დანაწარმდნენ.

კალათბურთი

პერგალინი და კულინი კლავი-ოფში ითამაშებენ

იტალიის სერია ა-ში დასკვნითი 30-ე ტურის მატჩები გაიმართა და გაირკვა, რომ გიორგი შერმადინისა და საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი უკანახაზელის ჯეიკობ პულენის უკანაზელები პლეი-ოფში ითამაშებენ.

ორეადგილოსან „უმანა ვენეციას“ ეთამაშებენ.



სტუმრობდა და 78:75 სძლია, ქართველი ცენტრი კი სასტარტო ხუთეულში იყო და 16 წუთში 4 ქულა, 4 მოხსნა და 1 დაფარება მოაგროვა.

ამერიკელი მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ჯეიკობმა 28 წუთში 17 ქულა, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 3 პასი მიითვალა.

წარდგინება

ლეგენდარული ორფეოსი

ახლახან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა წიგნის „ვანო სარაჯიშვილი – ლეგენდად ქვეული ორფეოსის“ წარდგინება. მისმა ავტორმა საქართველოს კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა, ლირსების ორდენოსანმა, ეკონომიკის დოქტორმა, ვანო სარაჯიშვილის სახელობის საერთაშორისო ფონდის ვიცე-პრეზიდენტმა გელა ქოქიაშვილმა ისაუბრა ქართული საშემსრულებლო ხელოვნების ყველა დროის უდიდესი წარმომადგენლის ვანო სარაჯიშვილის განუზომელ დამსახურებასა და როლზე, აღწერა და გააანალიზა მისი ეპოქა, იმდროინდელი ისტორიული მოვლენები, ვანოს ცხოვრებისეული ეპიზოდები. დამსწრეთ უჩვენეს ნაწყვეტები ვანო სარაჯიშვილისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმიდან, რომელიც შექმნილია გელა ქოქიაშვილის ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით.



გელა ქოქიაშვილი
ვანო სარაჯიშვილი – ლეგენდად ქვეული ორფეოსი

წიგნის პრეზენტაციას მიესალმნენ სახალხო არტისტები: ელდარ გენაძე, თეიმურაზ გუგუშვილი, ომარ მხვიცი; პოეტი ერეკლე სალიანი. ბოლოს გაიმართა კონსერვატორიის ვოკალური კლასის სტუდენტთა კონცერტი.

ავთანდილ გაბაური

გამოსაშვები გამოცდები 21 მაისიდან დაიწყება

დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები გამოცდებს 21-25 მაისს ჩააბარებენ. როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა განაცხადა, 20 მაისი სავარჯიშო დღეა, მოსწავლეებს სკოლებში ნებაყოფლობით მისვლა, ტესტური დავალებების ნახვა და პროგრამის მუშაობის შემოწმება შეუძლიათ. პასუხები მათ შედეგებზე არ აისახება. რაც შეეხება უშუალოდ გამოცდებს, მაია მიმინოშვილის ინფორმაციით, მე-12 კლასელები გამოცდებს 21, 22, 23, 24 მაისს ჩააბარებენ. 25 მაისი სარეზერვო დღეა. გამოცდები შემდეგი თანმიმდევრობით ჩატარდება – ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია და მათემატიკა. გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა დღის მეორე ნახევარში იმ მოსწავლეებსაც ექნებათ, რომელთაც მე-11 კლასში გამოცდა არ ჩაუბარებიათ. მე-11 კლასელების გამოცდები ამ დროისთვის არსებული გეგმის თანახმად, 16 ივნისს დაიწყება და 20 ივნისს დასრულდება. მაია მიმინოშვილის ინფორმაციით, გამოსაშვები გამოცდები საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 1600 სავარჯიშო და კერძო სკოლაში ჩატარდება. გამოცდებზე დაახლოებით 40 000 მე-12 და 41 500 მე-11 კლასელი გავა.

დაუუსტება

2015 წლის 5 მაისის ნომერში გამოქვეყნდა შპს „მარტ გადა-მუშავეების“ განცხადება გ.ზ. ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ, საიდანაც ამოღებულია მესამე აბზაცი მთლიანად. შპს „მარტ ბალამუშავეის“ აღმინისტრანია

კვალი დროში

მრთ-მრთ თვალსაჩინო იურისტს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ გენერალურ პროკურორს ვახტანგ რაზმაძეს 2015 წლის 12 მაისს 85 წელი შეუსრულდებოდა, რომელმაც თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით წარუშლელ კვალი დატოვა საქართველოს პროკურატურის ისტორიაში. ვ. რაზმაძემ პროკურორის მძიმე ტვირთი 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ღირსეულად და ვაჟკაცურად ატარა და საქართველოს პროკურატურას გამოცდილი, სანდო და კვალიფიციურ იურისტთა მთელი თაობა დაუტოვა. ბატონმა ვახტანგმა ბავშვობის წლები რაჭის ულამაზეს სოფელ ზედა შავრაში გაატარა. იქვე მიიღო საშუალო განათლება და სწავლა განაგრძო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო ქ. ტყიბულში ჯერ კომკავშირულ, ხოლო შემდეგ პარტიულ სამუშაოზე. მისი წარმატებული საქმიანობა მხედველობიდან არ გამოიჩინა ტყიბულის რაიონის მაშინდელ პარტიულ ხელმძღვანელობას, რომელსაც ცნობილი პროფესიონალი კარლო ლომიძე ხელმძღვანელობდა. 1961 წელს ვახტანგ რაზმაძე, როგორც ერუდირებული და პერსპექტიული ახალგაზრდა, თავისი სპეციალობის მიხედვით ქ. ტყიბულის პროკურორად დაინიშნა. მას შემდეგ 31 წელიწადი ქვეყანაში მართლმწესრიგის განმტკიცების საქმეს თავდადებათ ემსახურა. ქ. ტყიბულის პროკურორად რვა წელი იმუშავა და თავისი საქმით სამართალდამცავ ორგანოებსა და მოსახლეობაში ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა. 1968 წელს ვ. რაზმაძე სამუშაოდ საქართველოს პროკურატურაში გადმოიყვანეს და ჯერ განყოფილების გამგის მოადგილედ, ხოლო შემდეგ სამძებრო განყოფილების გამგედ დაინიშნა, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც მაღალკვალიფიციურმა იურისტმა და 1974 წელს თბილისის პროკურორად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე ექვსი წელი დაჰყო და მისი უშუალო ხელმძღვანელობით ქალაქის პროკურატურამ გახსნა იმ დროს ბევრი გახმაურებული საქმე, როგორც იყო განზრახ მკვლელობები, მექრთამეობის, ქურდობის და სახელმწიფო ქონების დიდი რაოდენობით დატაცების ფაქტები. 1980 წელს ბატონმა ვახტანგმა საქართველოს კვ ცენტრალურ კომიტეტში განაგრძო საქმიანობა, ხოლო 1982 წელს საქართველოს პროკურორის პირველ მოადგილედ გადაიყვანეს. 1985 წელს კი იგი საქართველოს მთავარი პროკურორი გახდა. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მისი ხელმძღვანელობით საქართველოში სამართლიანობის აღდგენა და მართლმსაჯულების დასამყარებლად არაერთი დანაშაულში შემწეული სამეურნეო ხელმძღვანელი და თანამდებობის პირი მიეცა პასუხისგებაში. მიუხედავად საკავშირო ორგანოების ზეწოლისა, ვ. რაზმაძემ გამოიჩინა პრინციპულობა და



ვახტანგ რაზმაძე 12 მაისს 85 წელი შეუსრულდებოდა

ციხიდან გაანთავისუფლა 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების დროს პატიმრობაში მყოფი მერაბ კოსტავა, გია ჭანტურია, ზვიად გამსახურდია და ირაკლი წერეთელი. შეწყდა მათი სამართლებრივი დევნა. 1990 წელს ვახტანგ რაზმაძე დაინიშნა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ გენერალურ პროკურორად, ხოლო ორი წლის შემდეგ იგი სახელმწიფო მეთაურის ე. შევარდნაძის მთავარ სახელმწიფო მრჩეველად გადაიყვანეს. ერთი წლის შემდეგ კი დამსახურებულ პენსიაზე გავიდა. 1999 წელს ვ. რაზმაძე საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა. მთავარ პროკურორად მუშაობის პერიოდში ვ. რაზმაძემ დიდი მონაწილეობა გამოიჩინა და პროკურატურის ორგანოებში სამუშაოდ მოიზიდა ახალგაზრდა, საქმიანი და პატიოსანი იურისტები. სამუშაოზე აწინაურებდა მხოლოდ იმას, ვისაც საქმიანობაში წარმატებები ჰქონდა და საზოგადოებაში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამ კრიტერიუმით მან მიაღწია პროკურატურის ორგანოებში კვალიფიციური კადრების მოზიდვას და ყველას შეუქმნა მუშაობისა და ყოფაცხოვრების ნორმალური პირობები.

ვ. რაზმაძის ერთ-ერთი დამსახურება ისიცაა, რომ მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით წელიწადნახევარში აშენდა ორთაჭალაში პროკურატურის ახალი თანამედროვე შენობა, რითაც ხელი შეუწყო პროკურატურის მუშაკთა ნორმალურ საქმიანობას. პენსიაზე გასვლის შემდეგ ბატონმა ვახტანგმა 2004 წელს ქ. თბილისში დააფუძნა საერთაშორისო იურდიულ-აუდიტორული ფირმა „ბასტრიონი“ და დიდ დახმარებას უწევდა მოსახლეობას იურიდიული საკითხების მოგვარებაში. პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის მთავრობის მაღალი ჯილდოების გარდა, მიღებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული იურისტის და პროკურატურის ორგანოების საპატიო მუშაკის წოდებები. 2002 წელს ჩატარებულ ჟურნალისტურ-სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად ვახტანგ რაზმაძე სამართლის სფეროში მომუშავე ჟურნალისტებმა აღიარეს პროკურატურის პატივარქადა. ვახტანგ რაზმაძის ერთ-ერთი დიდი დამსახურება ისიცაა, რომ მან ქალბატონ ჟენია ცეცხლაძესთან ერთად შექმნა კარგი ქართული ოჯახი, აღზარდა და ქვეყანას დაუტოვა შესანიშნავი შთამომავლობა – შვილების და შვილიშვილების... ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ იგი 2009 წლის 28 აგვისტოს 79 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი ხსოვნა და საქმიანობა არასდროს დაავიწყდებათ იმ ადამიანებს, ვინც მას იცნობდა, მეგობრული და პროფესიული ურთიერთობა ჰქონდა მასთან. ღმერთმა ნათელი ამყოფოს ვახტანგ რაზმაძის ლამაზი სული.

ირაკლი დვალი

ინფორმაცია

„ერთი ნაბიჯი წვიდან მთამდე“

ოპერატიული მუნიციპალიტეტში ტურისტული პოტენციალის დემონსტრირებისა და პოპულარიზაციის მიზნით აქცია – „ერთი ნაბიჯი ზღვიდან მთამდე“ გაიმართა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ჯერ - ურეკში, შემდეგ კი გომის მთაზე უმასპინძლა. მთისა და ზღვის ამ ორ კურორტს ერთმანეთთან 60 კილომეტრი და დაახლოებით 45-წუთიანი გზა აშორებს. გომის მთა ზღვის დონიდან 2100-2700 მეტრზე მდებარეობს, გარშემორტყმულია წიწვოვანი ტყითა და წყაროებით. კურორტს უკვე ათწლეულებია ადგილობრივები სტუმრობენ, თუმცა, წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იწყება – იმისთვის, რომ გომის მთა მუდმივი დამსვენებლები შეინარჩუნოს და ტურისტების მისაღებად მზად იყოს, წყალმომარაგება და ელექტროენერჯით უზრუნველყოფას საქართველოს კურორტის კეთილმოწყობის პირველი ეტაპი უახლოეს მომავალში დაიწყება. სტუმრები ჯერჯერობით კურორტს მხოლოდ ზაფხულობით სტუმრობენ, თუმცა, სამომავლოდ გომის მთა შესაძლოა, სამთო-საბუნებისმეტყველო კურორტად იქცეს, რადგან თოვლი 8 თვის განმავლობაში არ დნება.

ლოეს მომავალში დაიწყება. სტუმრები ჯერჯერობით კურორტს მხოლოდ ზაფხულობით სტუმრობენ, თუმცა, სამომავლოდ გომის მთა შესაძლოა, სამთო-საბუნებისმეტყველო კურორტად იქცეს, რადგან თოვლი 8 თვის განმავლობაში არ დნება.

გაფა. როგორც ლიბის წყალში დაიბობა. საქართველოს აქვსი მოქალაქე იმყოფება

ამის შესახებ ნათქვამია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში შემოვიდა ინფორმაცია, რომ საქართველოს მოქალაქეები, კერძოდ, ნ მებღვაური იმყოფება გემზე, რომელიც დაიბობა ლიბის წყლებში და დაშავდა რამდენიმე მებღვაური, მათ შორის, გარდაცვლილია თურქი ეროვნების კაპიტანი. სააგენტო ცდილობს სიტუაციის გარკვევას და მებღვაურთა გამოყვანას შექმნილი მდგომარეობიდან. მოვლენათა განვითარების შესახებ განცხადებები“, – ნათქვამია განცხადებაში.

შემთხვევა ლიბის ქალაქ თობრუკის პორტთან ახლოს მოხდა. თურქულ გემზე საპაერო იერიში მას შემდეგ მიიტანეს, რაც ლაინერმა ტერიტორიის დატოვება სცადა. თავდასხმის შედეგად დაიღუპა გემის ეკიპაჟის ერთი წევრი, რამდენიმე კი დაშავდა.

ინტერპრესი



